გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2023 წლის 18 აპრილი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/11/2017, 010260020.35.148.016405) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 52-ე გრაფის შემდეგ დაემატოს გრაფა შემდეგი რედაქციით:

„

სოციალური და ჯანდაცვის ორგანიზაციებთან ურთიერთობების განყოფილება

“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 52^1 და 52^2 გრაფები შემდეგი რედაქციით:

„

52^1	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	1	1694
52^2	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	1	1331

“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 55-ე გრაფის შემდეგ დაემატოს გრაფა შემდეგი რედაქციით:

„

ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება

“;

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 55^1 და 55^2 გრაფები შემდეგი რედაქციით:

„

55^1	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	1	1694
55^2	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	3	1331

“;

ე) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-60 გრაფის შემდეგი გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

მშენებლობის კონტროლის განყოფილება

“;

ვ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 91-ე გრაფის შემდეგი გრაფა და 92-ე და 93-ე გრაფები ამოღებულ იქნეს.

ზ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 97-ე გრაფის შემდეგი გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

მონიტორინგის განყოფილება

“;

თ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 108-ე გრაფის შემდეგი გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

საშტატო რაოდენობა სულ	**277**	

.“.

მუხლი 2

ა) დადგენილება, გარდა 1-ლი მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2023 წლის 27 აპრილს.

ბ) დადგენილების 1-ლი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივნისს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**